პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი, 29 მარტი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 462 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პრ-ს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1 – 40

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც: ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

სამხკორების საყურადღებოთ.

ორშაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 ს. ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბის შენობაში დანიშნულია თბილისის გარნიზონში მდგომ ქართულ დივიზიის ნაწილების პასუხისმგებელ სამხკორების თათბირი. წინადადება ეძლევა ყველა პასუხისმგებელ სამხკორებს დაესწრონ თათბირს უკლებლივ და დანიშნულ დროზე.

გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქცია.

უვადო შვებულებაში მიმავალთა გაცილებისათვის.

რამოდენიმე დღეების შემდეგ დაიწყება 1901 წელში დაბადებულთა უვადო შვებულებაში გაშვება.

წითელი მებრძოლნი, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და მშრომელთა ხალხის წინაშე უბრუნდებიან თავიანთ ოჯახს და კარ-მიდამოს.

წითელი ყაზარმა მათ უშვებს მომზადებულთ ახალ ცხოვრებისათვის, საკმაო ცოდნით აღჭურვილთ ნაყოფიერ მუშაობისათვის, ახალი სოფლის შესაქმნელად.

თითეულმა წითელ მოლაშქრემ იცის თუ რას წარმოადგენს წითელი ჯარი, წითელი ყაზარმა. როდესაც მას იწვევდნენ წითელი ლაშქრის რიგებში მას თვალწინ ეხატებოდა მკაცრი ბიუროკრატიული რეჟიმი მეფის ყაზარმისა, სადაც თითეული უმნიშვნელო დანაშაულისათვის მას როზგით და ყბაში შემორტყმით გაუმასპინძლდებოდენ. აქ მოსვლისას ის დარწმუნდა სრულიად საწინააღმდეგოში. მან შეიგნო თუ რა წინააღმდეგობაა წითელი ყაზარმისა და მეფის ყაზარმის შორის.

მეფის ყაზარმა მას სჩაგრავდა, ხდი და უსულო, უმეტყველო არსებად, რომელმაც უნდა იცოდეს მხოლოდ მეფისა და ღმერთის მორჩილება და სამსახური.

წითელი ყაზარმა კი სცდილობს, ყოველივე ღონის-ძიებას ხმარობს, რათა თითეულ წითელ მოლაშქრეს შეაგნებინოს თავისი როლი მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში, მისი მოქალაქეობრივი მოვალეობანი, თუ რატომ არის ის ყაზარმაში, თუ რატომ არის საჭირო წითელი ჯარი და სხვა.

წითელი ყაზარმა ეს ახალი ძვირფასი ოჯახია თითეული წითელ მოლაშქრისათვის.

დღეს ამ ძვირფასს ოჯახს მშრომელთა კლასისა შორდება ჩვენი წ. მოლაშქრე. შორდება არა სამუდამოდ, არა იმიტომ, რომ დაივიწყოს ის და დაკარგოს მასთან კავშირი, არამედ ის მიემგზავრება ყველა იმ მოვალეობის შესასრულებლად, ცხოვრებაში ყველა იმ ამოცანების გასატარებლად, რომელიც მათ დაავალა საბჭოთა ხელისუფლებამ და წითელმა ყაზარმამ; სოციალისტურ სამშობლოს გარეშე საფრთხის დროს ის კვლავ ესტუმრება წით. ლაშქრის რიგებს.

წითელი ყაზარმა მას მხოლოდ უვადო შვებულებაში უშვებს.

უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელის დროებითი განშორების დღე წითელ ყაზარმასთან უნდა იყოს დღე ზეიმისა, დღე წითელი ფიცის განმეორებისა.

ამიტომ ჯარის ნაწილებში მომუშავე ყველა ამხანაგებმა, პოლიტ-მომუშავეებმა, უფ-პოლიტ-შემადგენლობამ, კლუბის მუშაკებმა და სხვებმა, რაც შეიძლება მეტის ზეიმით უნდა მოაწყონ გაცილების დღე.

ამ მხრივ პოლიტ-განყოფილების მიერ გამოცემული ცირკულიარი, რომელიც დღეს თავსდება ჩვენს გაზეთში კონკრეტიულად მიუთითებს ყველა იმ ზომებზე, რომლებიც გატარებულ უნდა იქმნას დემობილიზაციის ჯეროვანად ჩასატარებლად.

რადიო-დეპეშები

— ინგლისის გემის პატრონებმა დაითხოვეს სამუშაოდან 100.000-დე მუშა.

— ვარშავაში მოხდა შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის. მოკლულია 40 კაცი. ამათ რიცხვში რამდენიმე ქალია.

— სირიაში აჯანყებულთა მოძრაობა ძლიერდება.

— აპრილის პირველ რიცხვებში საბჭოთა კავშირში გამოვა გაზეთი ბრმებისათვის, დაბეჭდილი განსაკუთრებული შრიფტით.

— 15 მაის რომში გაიხსნება საერთაშორისო კონგრესი იმიგრაციის და ემიგრაციის შესახებ. მონაწილეობს 40 სახელმწიფო, სადაც მოწვეულია აგრეთვე საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირი.

ამნისტია სასამართლოს მიერ დასჯილ მშრომელთა სასჯელის შესამსუბუქებლად.

ვოლგას მხარეში მყოფ გერმანელთა ავტონომიურ ოლქის რეორგანზაციის აღსანიშნავად და ამ რესპუბლიკაში მყოფ დასჯილთა და სამართალში მიცემულ პირთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა, ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის ცაკთან შეთანხმებით გამოაცხადა ამნისტია, რომლის ძალითაც თავისუფლდებიან სასჯელისაგან რესპუბლიკის სასამართლოს მიერ ყველა დასჯილები ერთი წლის თავისუფლების აღკვეცით და იძულებითი სამუშაოთი. ის პირები, რომელთაც მისჯილი აქვთ ერთ წელზე მეტი, უმცირდებათ სასჯელის ვადა ნახევრად.

სავსებით თავისუფლდებიან სასჯელისაგან პოლიტიკური ბანდიტიზმის მონაწილენი, რომლებიც ეკუთვნიან მუშათა და გლეხთა კლასებს და რომლებიც არ ეკუთვნიან აჯანყების მოთავეებსა და ორგანიზატორებს.

ნება მიეცა სამშობლოში დაბრუნების, სასჯელისაგან სრული განთავისუფლებით, იმ პირებს, რომლებიც გაიქცნენ რსფსრ-ს საზღვრებიდან თეთრ გვარდიელთა ავანტიურასთან დაკავშირებით, მაგრამ არ იყვენ მათი აქტიური მონაწილეები და არ ეკუთვნიან საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილ პარტიებს.

ამნისტია ვრცელდება იმ დანაშაულებზეც, რომლებიც ჩადენილია ვოლგის გერმანელთა რესპუბლიკაში 1923 წლის 19 დეკემბრამდი. განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა, რათა ისარგებლონ ამნისტიით არის დანიშნული 1924 წლის 1-ლი სექტემბერი.

ამხ. ლენინის ხსოვნისათვის.

ლენინის ახალი ხელნაწერები.

ლენინის ინსტიტუტს გადაეცა, ლენინის 25 ხელნაწერი სხვა და სხვა შინარსისა, რომლებიც არ ყოფილა ჯერ დაბეჭდილი და 30 ფუთი სხვა და სხვა წიგნები და ჟურნალები. ყველაფერი ეს იპოვნეს ბოლშევიკური პარტიის ჟენევის არქივში. წიგნის ფურცლებზე და ყდებზე არის ლენინის მიერ წარწერილი მრავალი შენიშვნები.

ლტოლვა ახ. კომკავშირში.

საერთო ქალაქთა უპარტიო ახალგაზრდობის კონფერენციაზე 170 დელეგატმა შეიტანა განცხადება ახალგაზრდათა კომკავშირში შესვლის შესახებ.

განსაკუთრებული სექციები აღმასკომებთან.

სრულიად რუსეთის პრეზიდიუმმა დაადგინა მოწყობილ იქნას საგუბერნიო და საოლქო აღმასკომებთან და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების სრულიად ცაკებთან—რაიონებში, რომლებიც დიდ საჭიროებას განიცდიან—სექციები.

ამ სექციებს ევალებათ ხელი შეუწყონ ადგილებში სასოფლო მეურნეობის აღორძინებას, დაეხმარონ მოუსავლობისაგან და სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ მოსახლეობას; ევალებათ აგრეთვე ზომების მიღება შიმშილობის წინააღმდეგ და არა შეძლებულ გლეხობის დასახმარებლად.

ბესსარაბიის საკითხი

დელეგაციების თავმჯდომარეები ავსტრიის საგარეო მინისტრთან.

26 მარტს საბჭოთა და რუმინეთის დელეგაციების თავმჯდომარეებმა ინახულეს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი გრიუნბერგი და წინადადება მისცეს მას მიიღოს თავმჯდომარეობა კონფერენციაზე. გრიუნბერგმა თანხმობა განაცხადა.

საბჭოთა კავშირის პირველი ამოცანა მშვიდობიანობაა.

საუბარი ამხ. კრესტინსკისთან.

ჟურნალისტებთან საუბარში კრესტინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელის უფლების 6 წლის არსებობის შემდეგ მთელი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი დარწმუნდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარეობაში და მის ლტოლვაში ერთა თვითგამორკვევისა და ძმობისაკენ. ასეთი პოლიტიკის წყალობით, საბჭოთა კავშირმა დაამყარა კეთილ განწყობილება თავის მეზობლებთან ახლო აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში. მეფის რუსეთის განა-

---

პრესა

„ახალ მიწად მოქმედების შესახებ“.

გაზეთ „პრავდაში“ ამ სათაურით მოთავსებულია შემდეგი წერილი: „ერობის აგრონომიული ორგანიზაცია დაიშალა ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის პირველ წლებში. მემამულები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ ერობებს თავის პირველი რიგის ამოცანად სთვლიდენ ომის მიყვანას საბოლოო გამარჯვებამდი და არ აქცევდენ ყურადღებას ერობის ამოცანებს.

შიმშილიანმა წლებმა რევოლიუციის შემდეგ მთელი სიძლიერით დააყენეს საკითხი მოსახლეობისადმი აგრონომიულ დახმარების აღორძინებისა და გაძლიერებისა. ამ წლებმა ტრაგიული დაბეჯითებით გამოაშკარავეს, რომ საშუალო საუკუნეების სამმინდვრიანობამ საბოლოოდ მოსჭამა დრო. და ცალმხრივი ხორბლის მეურნეობა გვიქადის ჩვენ სრულ რღვევას. თანამედროვე მიწად მოქმედების გარეშე არ შეიძლება იქნეს თანამედროვე მრეწველობა. გლეხობის და მუშათა კლასის ინტერესები თანაბარი დაჟინებით მოითხოვენ, რათა სრულიად გადაჭრით და რევოლიუციონურად იქნას გაწყვეტილი კავშირი ძველ დახავსებულ ტრადიციასთან.

პლაკატისა და გაზეთის პროპაგანდამ აგრონომიულ საქმეში,—რომლითაც ჩვენ იძულებული გავხდით დავკმაყოფილებულიყავით იმ წლებში, ვინაიდან არავითარი სახსარი არ მოგვეპოვებოდა,—ვერ მიაღწია თავის მიზნებს.

ხშირად პლაკატები იწვევდენ სასტიკ კრიტიკას გამოცდილ სადგურებისა და სერიოზულ აგრონომების მხრივ.

ყველასათვის ცხადია, რომ სერიოზული აგრონომიული ზომები, რომელიც აგებული იქნება ყველა ადგილობრივ თავისებურებაზე, შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ ისინი გატარდებიან მეცნიერულად მომზადებულ, სამხედრო აგრონომიის ხელმძღვანელობით,

მაგრამ სარაიონო აგრონომიის გარდაქმნის, ან და უფრო სწორად, შექმნის საქმეს ჩვენ შეგვეძლო შევდგომოდით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ცოტათი გაუმკლავდით სასტიკ სამეურნეო რღვევას და მივაღწიეთ რამოდენიმედ მრეწველობისა და მიწად მოქმედების აღორძინებას.

მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ რკპ—ს ცეკას ცირკულიარს, რომელიც დაბეჭდილია „პრავდას“ № 65-ში ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოახმარონ მთელი ღონისძიება, რათა საჩქაროდ და ფართედ იქნას გატარებული ცხოვრებაში აღნიშნული ცირკულიარები და ზომები. სერიოზულად დაყენებული სარაიონო აგრონომია ბოლოს მოუღებს კუსტარულობას ამ დარგში; ის მისცემს ნამდვილ დახმარებას და ჭეშმარიტ გამოსავალს გლეხობას, უჩვენებს პრაქტიკულად, თუ როგორ გადავიდეს ახალ მიწად მოქმედებაზე.

ამ ზომების გატარება შექმნის ერას ჩვენი მიწად მოქმედების ისტორიაში და აღნიშნავს მიწის დახავსებული ხერხით დამუშავებიდან გადასვლას მის მეცნიერულად დამუშავებაზე.

პირა ქვეყნების თვითგამორკვევის ცნობა საუკეთესო საბუთია საბჭოთა მთავრობის მიერ იმპერიალისტური პოლიტიკის დაგმობისა.

საბჭოთა კავშირი გამსჭვალულია რუმინეთის მიმართ მშვიდობიანური განწყობილებით. საბჭოთა დელეგაცია მივიდა ვენაში წრფელი სურვილებით გადასჭრას ყველა საკითხები, რომლებიც დღეს სდგას საბჭოთა მთავრობის და რუმინეთის წინაშე. თუ რუმინეთი გაიაზიარებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, რომლებიც ემყარებიან სამართლიანობას, კეთილ მოყვარეობას და თვითგამორკვევის უფლებას, იმ შემთხვევაში კონფერენცია შესძლებს სათანადოთ გადასჭრას თავისი ამოცანები.

კრესტინსკის განცხადებამ მოახდინა დიპლომატიურ წრეებში საუკეთესო შთაბეჭდილება და გადაბეჭდილ იქნა ის ვენის ყველა გაზეთების მიერ

ნიკოლაევში მცხოვრებ ბესარაბიელთა ნაკაზი.

ბესარაბიელების მიერ მოწყობილმა დიდმა მიტინგმა 2.000 ბესარაბიელ ემიგრანტთა სახელით მიიღო საბჭოთა დელეგაციის ნაკაზი ვენის კონფერენციაზე. ნაკაზი მიმართავს დელეგაციას მიაღწიოს რუმინეთის საოკუპაციო ჯარების საჩქაროდ გამოყვანას ბესარაბიიდან, რუმინეთის, ბესარაბიელთა არმიის სრულ დემობილიზაციას, რუმინეთის მიერ ნაძარცვი ქონების დაბრუნებას, მოლდავანთა მუშურ გლეხური სოც. საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას და მის შეყვანას სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ოჯახში.

ჩეხო-სლოვაკიის პრესა ბესსარაბიის საკითხის შესახებ.

ნაციონალ დემოკრატიული გაზეთი „ლიუდოვი ნოვინე“ ხაზს უსვამს საბჭოთა რესპუბლიკის თვალსაზრისის სისტემატიურობას ბესსარაბიის ოკუპაციის უსამართლობის შესახებ და გამოსთქვამს იმედს, რომ ბესსარაბიის საკითხი გადაჭრილ იქნება პლებისციტის გზით, ერთა ლიგის დახმარებით.

გაზეთი „ნაროდნი ოსვობოჟდენი“ ხაზს უსვამს მთელი რუსეთის საზოგადოებათა სოლიდარობას ბესსარაბიის საკითხში.

კომუნისტური „რუდე პრავო“ სწერს: „ჩეხო-სლოვაკიამ უნდა დაამტკიცოს, რომ რუმინეთთან კავშირი არ მოახდენს გავლენას ჩეხოსლოვაკიის დამოკიდებულებაზე ბესსარაბიის საკითხისადმი.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ არ უნდა დაუჭიროს მხარი რუმინეთის ზრახვებს ბესარაბიის მიმართ, არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად ამ საკითხში ჩეხო-სლოვაკიის ფართე მასების სიმპატია საბჭოთა კავშირის მხარეზეა. საეჭვოა გამოჩნდეს ისეთი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც გადასწყვეტს რუმინეთის პოლიტიკის დაცვას.

გერმანიის ამბები.

უარყოფითი დამოკიდებულება გერმანიის საგარეო პოლიტიკასთან.

ნაციონალურ-ლიბერალურ გაერთიანებულ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნა სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთის მიერ, გამოჟღავნდა სასტიკი, უარყოფითი დამოკიდებულება შტრეზემანის, დიდი კოალიციის და სახალხო პარტიის მარცხენა ჯგუფების მიმართ. ორატორებმა განაცხადეს, რომ შტრეზემანის საგარეო პოლიტიკა აუტანელია და რომ გერმანია ღებულობს საფრანგეთისაგან სილას ზედი-ზედ. რეიხსტაგში უნდა შეიქნას მემარჯვენე უმრავლესობა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს შედგენას ერთგვარი ბურჟუაზიული მთავრობისა—როგორც საიმპერიის, აგრეთვე პრუსიის.

ცეიგნერის საქმე.

საბრალმდებლო სიტყვაში პროკურორმა მოითხოვა ცეინგერისათვის 3 წლის ციხე და მებიურისათვის 4 წლის, უფლებების ჩამორთმევით.

კომუნისტების მუშაობა პროფკავშირებში.

20 მარტს გავიდა ვადა, რომლის განმავლობაში, გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებაში მომუშავე კომუნისტებს ხელი უნდა მოეწერათ ვალდებულებაზე ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდების ცნობისა და პროფინტერნსა და წითელ საერთაშორისო გაერთიანებასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. კომუნისტებმა უარი განაცხადეს ვალდებულების ხელის მოწერაზე. მაგრამ პროფკავშირთა გაერთიანებას კავშირის პრეზიდიუმს ჯერ არ მიუღია რაიმე ზომები ამის წინააღმდეგ. მხოლოდ მოსამსახურეთა ცენტრალურმა კავშირმა გარიცხა 10 კომუნისტი, რომლებმაც უარი განაცხადეს ხელის მოწერაზე.

გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებულმა კავშირმა გამოაცხადა დაშლილად პროფკავშირთა საოლქო საბჭოები მერზერბურგის და გალლეს ოლქებში, რომლებიც შესდგებოდა მხოლოდ კომუნისტებისაგან.

გაფიცვები ჰამბურგში.

ჰამბურგში ნავთსადგურის მუშებმა დასთანხმდნენ სამუშაო დღის გაგრძელებას და განაახლეს მუშაობა გემის მშენებელი მუშები განაგრძობენ გაფიცვებს.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

„პუანკარეს გადადგომა“.

მილიერანმა მიიღო პუანკარეს გადადგომა, მაგრამ რამოდენიმე საათის განმავლობაში კვლავ გამოიწვია პუანკარე და წინადადება მისცა მას ახალი კაბინეტის შედგენისათვის. ოფიციალურ წრეებში საჭიროდ სთვლიან პუანკარეს დარჩენას თავის ადგილზე იმ დროს, როცა მოელიან მოლაპარაკებას ექსპერტთა კომისიის მოხსენებათა გამო. ოფიციალური წრეები იმედოვნებენ, რომ პუანკარესა და მაკდონალდს შორის მოლაპარაკებას მოყვება საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმება. მემარცხენეები არ ფიქრობენ მიიღონ ძალაუფლება არჩევნების წინ, ნაციონალურ ბლოკის მძიმე მემკვიდრეობასთან ერთად.

„ჟურნალ დე დება“ სწერს, რომ კაბინეტი შედგენილი იქნება ხვალვე პუანკარეს თავმჯდომარეობით.

ამერიკა.

ხმები ბრიტანეთის ნავთის საზოგადოების დაპყრობის შესახებ.

ინგლისის ნავთის ფირმებმა მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ მექსიკის მუშებმა დაიპყრეს ბრიტანეთის ნავთის საზოგადოება „იგლ“-ს სამრეწველოები და იქვე აღმართეს წითელი დროშა. ეს ხმები დაკავშირებულია საზოგადოება „იგლ“-ს ბრალდებასთან მის მიერ გაწეულ დახმარების გამო სუკხუერტას აჯანყებაზე, რაიც წარუდგინა საზოგადოებას მექსიკის მთავრობამ.

საბერძნეთი.

პლებისციტის წინ.

საბერძნეთის ნაციონალურ კრების გადაწყვეტილება, რესპუბლიკის გამოცხადების, დინასტიის დამხობის მისი წევრების გადასახლებისა და მეფის ოჯახის ქონების ჩამორთმევის შესახებ, უნდა დამტკიცებულ იქნას მთელი ხალხის კენჭის ყრით, რომელიც დანიშნულია 30 აპრილს. პლებისციტის გათავებამდი ადმირალ კონდურიოტისი რჩება რეგენტად.

მთავრობამ გადასწყვიტა გამოაცხადოს საერთო ამნისტია პოლიტიკურ პატიმართადმი, რომლებიც მონაწილეობდენ სამხედრო აჯანყებაში უკანასკნელ წლებში.

რუსეთ რუმინეთის კონფერენცია.

ვენიდან მიღებულ ცნობით რუსეთ რუმინეთის კონფერენციის დაწყების დღე ჯერ კიდევ არ არის დანიშნული. ორივე დელეგაციების უფროსებს ჰქონდათ საუბარი კონფერენციის წესრიგის შესახებ მაგრამ არ გაურჩევიათ წვრილმანები.

იტალია.

საბჭოთა კავშირის ელჩის მიერ რწმუნების ბარათის ჩაბარება

28 მარტს საბჭოთა კავშირის ელჩმა იტალიაში ჩააბარა მეფეს თავისი რწმუნების ბარათები არსებულ ცერემონიის ქვეშ.

სამხრეთ სლავია.

პაშიჩის „ახალი“ კაბინეტი

პაშიჩმა შეადგინა ახალი კაბინეტი რადიკალ-დემოკრატიული და დისიდენტის კონცენტრაციისა: საგარეო საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი, შინაგან საქმეთა სტრეკიში, ფინანსთა სტოიადინოვიჩ, ვაჭრობის კრიცმან და სამხედრო პასეიჩი.

უკრაინის წითელი პარტიზანების ბრძოლიდან 1919 წ. ელისავეტგრადის რაიონში.

(მოგონება)

ყოველივეს გახსენება რა თქმა უნდა ძნელია, თუმცა ამ ამბავს ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაინც შეუძლებელია გაგახსენდეს სამოქალაქო ომის ყველა მომენტები. თებერვლის პირველი რიცხვები იყო სწორეთ, რომ დიდის ვაი ვაგლახით და სიკვდილის სასჯელისაგან აცილების შემდეგ, რომელიც მისჯილი გვქონდა სიმონ პეტლიურას ბანდების მიერ კალუგის ვოლოსტში ხერსონის გუბერნიაში, მეზღვაურმა ბირიუკოვმა, ხერსონის რევკომის წევრებმა და მე ელისავეტგრადს მივაღწიეთ. ელისავეტგრადში პეტლიურას მთავრობა აღარ არსებობდა, უკვე ალმასკომი იყო. ალმასკომი კოალიციონური იყო, შიგ იყო ესერებიც და მენშევიკებიც რაც ძლიერ აფერხებდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს.

ლავრენტი ქართველიშვილი ამ ჟამათ საქ. ცეკას მდივანი, იქვე დამიხვდა პარტკომის თავმჯდომარეთ. ლავრენტის უსაყვედურე და მოუყევით ის გაჭირვება და ხიფათი, რაც თავს გადაგვხდა, ლავრენტის ჩემთვის მიესწრო ოდესიდან ელისავეტგრადში, რადგან ის ბირპალიდან წამოსულიყო. მან იცოდა აგრეთვე თუ რა მისია მქონდა დავალებული ატამან გრიგორიევთან თანახმად საოლქო კომიტეტის და ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილებისა.

პარტკომის დადგენილებით სამხედრო კომისრის თანამდებობაზედ დამნიშნეს და მუშაობას შევუდექი. იმ დროს მაზრების და გუბერნიების სამხედრო კომისრებს სამხედრო სფეროში დიდი უფლებები ჰქონდა, ჯარის შედგენა გარნიზონის უფროსის მოვალეობა, კონტრევოლიუციონური გამოსვლების ჩაქრობა და სხვა.

ეს პერიოდი უკრაინის სამოქალაქო ომის მრავალი ექსპერიმენტებით და ავანტიურობითაა აღსავსე. წითელ ჯარს მარტო სახელი ქონდა წითელი, კომანდირები არ იყო კომუნისტები და ძველი ოფიცრობა წამ და უწუმ პირველ მოხერხებისათანავე საბჭოთა ხელისუფლებას ღალატობდა, ამან ქრონიკული ხასიათი მიიღო უკრაინაში და ყოველ დღე ახალ-ახალი ატამანი გაუჩნდებოდა კონტრევოლიუციას.

პეტლიურას ჯარების გადახალისება ძირიანათ არ მომხდარა, ესენი დარჩენ ისევ ისე გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მეტადრე სარდლობის დიდი ნაწილი. ატამან გრიგორიევმა პეტლიურას მიერ კანონგარეშე გამოცხადებით სახელი და ნდობა მოიხვეჭა საბჭოთა მთავრობის წინაშე მეტადრე, როდესაც მისმა დივიზიამ ოდესა აიღო.

ოდესის ამხანაგებმა ეს დაუმორჩილებელი დივიზია, რომელიც ცარცვა-გლეჯას ხელს არ აკლებდა ოდესაში, მაზრებში გამოისტუმრა. გრიგორიევი თავის შტაბით ალექსანდრიაში იდგა, პოლკები კი ახლომახლო მაზრებში. ერთი პოლკი, რომელსაც ხერსონის პოლკი ეწოდებოდა ელისავეტგრადის სადგურში დაბანაკდა. ატამან გრიგორიევის ავანტიურა წინდაწინ მოფიქრებული და მომზადებული იყო ესერებიდან და მენშევიკებიდან. არ მახსოვს პოლკის კომისრის გვარი, მგონი კაზაკი ჩესუნი იყო დამარწმუნა, რომ არ იფიქრო გრიგორიევი ჩვენი იყვეს და ან ჯარიო.

ჯარი შარზე იყო, ყველა ნაწილი ცალცალკე მოდიოდა და მოითხოვდა იმას, რაც შეუძლებელი იყო, პარტკომმა და ალმასკომმა ნება დამრთო ხიფათის თავიდან ასაცილებლად მემოქმედა ტაქტიკურათ, კომისარიატი ყოველივე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და თან პოლიტიკურ მუშაობისათვის დიდ ენერგიას ხარჯავდა. სჩანდა, აჯანყების დაწყებას გრიგორიევის შტაბი ვერ ახერხებდა, ის უცდიდა შესაფერ მომენტებს. შარს ჩვენგანვე ეძებდა მაშინდელ მთავარ სარდალ ამხანაგ ანტონოვ ოვსეენკოს, ჩეკის თავმჯდომარის ვაშჩენოს და ალმასკომის თავმჯდომარეს ულიანოვთან ერთად წარუდექი და მოვახსენე პოლკი გაეყვანა ან განეიარაღებია—მან ჩემს მოხსენებას უნდობლად შეხვდა და სთქვა ნახე, თუ ეს ჯარი კონტრ-რევოლიუციონურია, ჯარი გაამწკრივა მიესალმა და სიტყვა უთხრა, რის შემდეგ ანტონოვ ოვსეენკო ელისავეტგრადიდან წავიდა.

მესამე დღეს ამ ჯარმა ქალაქის ცარცვა დაიწყო და მათ წინააღმდეგ ადგილობრივი ბატალიონი, რომლის კომანდირი გალ-განი იყო (ამ ჟამათ როგორც გადმომცეს გალ-განი ელისავეტგრადშია სამხედრო კომისრათ). გამოვიდა და პაგრომი და ცარცვა შეაჩერა...

მაგრამ მდგომარეობა სერიოზულ ხასიათს იღებდა. მაისის რიცხვებში ატამან გრიგორიევს შემდეგი დეპეშა გაუგზავნე ალექსანდრიაში. Уважаемый атаман, части вашей дивизии расположение вгороде Елисаветграде занимаются грабежами и не подчиняются властям. обращаюс к вам славному красному атаману предупредить все это и не осрамиться пред совласти მეორე დღესვე შემდეგი პასუხი მოვიდა ატამან გრიგორიევიდან Прикажите частям славной моеи дивизии от моей имени прекратит грабеж. Атаман Григориев. არ მახსოვს რომელი დღე იყო, რამდენიმე ეშალონი კიდევ მოადგა ელისავეტგრადს და ბრონე მატარებლები. ესენი ყველა წითელ ჯარის ნაწილებია, მაგრამ სჩანს, რომ საიმედო არ არიან!..

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ამის ნება არ გვქონდა, გადაწყდა განიარაღება, შემუშავებულ იქნა გეგმა, ამ განიარაღებაზე უთუოდ დიდი სისხლი უნდა დაღვრილიყო, გრიგორიევის ჯარი თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული იყო და თუ პირველად ადგილობრივი ხელისუფლება ატეხდა შარს. გრიგორიევის კონტრრევოლიუციონერობა არავის არსჯეროდა და უთუოდ დავისჯებოდით ჩვენივე ამხანაგებიდან. მით უმეტეს, რომ წინა დღით რაკოვსკი შემდეგ დეპეშას გზავნიდა В Елисаветграде чека арестовывает командиров частей дивизии атамана Григориева предлагаю предупредить все это и т. д.

მაგრამ მეტი გზა არ იყო. კონტრრევოლიუცია კარზე იყო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ღამით განიარაღება უნდა დაწყებულიყო, მაგრამ იმავე დღეს გრიგორიევის ჯარმა ალყა შემოარტყა კურსანტებს და პროლეტარებს, ჯერ ეს ცნობა სამხედრო ხელმძღვანელს ივანოვს არ ქონდა მოხსენებული, რომ შემოვარდა ადიუტანტი ქადეიშვილი, ეხლა ის ბათუმშია, (მისი ძმა დახვრიტეს ოდესაში, როგორც კონტრ-რევოლიუციონერი). შემდეგ მითხრა, ქალაქი შეკრულია, ჩვენი ჯარიც გრიგორიევს შეუერთდა და სხვა...

მას სიტყვა არ ქონდა დასრულებული, რომ იმავე წამში სპარტაკის რაზმის კომანდირი, რომელიც მათ მხარეზე გადასულიყო რაზმით, შემოვარდა და მითხრა тов. Военный комиссар, по приказанию атамана Григориева вы арестованы. уже переворот, сейчас не влать только коммунистов и жидов а подлинная советская власть. ლოზუნგიც აჯანყების ასეთი იყო სხვა ნაირად არც კი შეიძლებოდა...

(გაგრძელება იქნება).

თენგიზ ჟღენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელ კარში

ქართ. დივიზიის უფ და პოლიტ-შემადგენლობის და წითელ არმიელების საყურადღებოდ.

ქ. მ. დ. ცენტრალური კლუბის გამგეობაში შეკითხვებიც შედის იმის შესახებ, თუ რატომ თანახმად კლუბის გამგეობის მიერ გაზეთებში განცხადებისა, ცენტრალურ კლუბს არ ეწოდა ამხ. თენგიზ ჟღენტ-ს სახელი. ამიტომ ც. კლუბის გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს გამოაცხადოს; ვინაიდან ამხ. თენგიზ ჟღენტმა კატეგორიული უარი განაცხადა კლუბს სწოდებოდა მისი სახელი და გვთხოვა გვეწოდებია ოქტომბრის რევოლიუციის სახელწოდება, ამიტომ იძულებული გავხდით არ შეგვესრულებია პოლიტ-მომუშავეების სურვილი და გამგეობის დადგენილება.

კლუბის გამგეობა.

ქართულ სამხედრო სკოლაში.

22 მარტს ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის 1-ლი ასეულის დრამატიულმა წრემ გამართა საღამო—წარმოდგენა. „დამარცხებული" ირეთლისა. რომელშიაც ღებულობდენ მონაწილეობას როგორც თვით კურსანტები, აგრეთვე უფშემადგენლობაც. საღამოზე იქნა მოპატიჟებული, როგორც გლეხები (წყნეთიდან) ისე მუშა-მოსამსახურეები.

წარმოდგენის დაწყების წინ ამავე სკოლის სამხკომმა ამხ. ბუაჩიძემ წარმოსთქვა სიტყვა პარიზის კომუნის 53 წლის თავის აღსანიშნავად, შემდეგ გამოვიდენ კურსანტები კოლექტიური მოხსენებებით. ამ მოხსენებას ჯამი გაუკეთა ამხ. ტალახაძემ, რომელმაც ფართოთ და ნათლათ გააშუქა პარიზის კომუნის უარყოფითი და დადებითი მხარეები. აღნიშნა თუ რა ნაყოფი მოუტანა პარიზის კომუნამ საერთაშორისო მუშათა კლას მომავალ ბრძოლის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. კოლექტიური მოხსენების შემდეგ იქნა შემოტანილი წინადადება, რომ ქართულ მეთაურთა სკოლამ მიიღოს შეფობა საზღვარგარეთის ერთ-ერთ საპყრობილეში მჯდომ რევოლიუციის მებრძოლებზე, რათა უზრუნველ ჰყოს ისინი სიმშილის საფრთხისაგან.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ასეთი მოქმედება .წითელ ლაშქარში, აღამაღლებს, წ. მოლაშქრეების, როგორც კულტ. დონეს აგრეთვე პოლიტ. შეგნებას და მოქვცეს გამობრძმედილ, შეგნებულ, ცოდნით შეიარაღებულს მებრძოლებს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

დ. ცინცაძე.

„წითელ კუთხეში".

(სურათი)

ცალკე საკავშირო ასეული.
კვირა, 23 მარტი.
ღრუბლიანი დღე; ქინქლავს...

„წითელ კუთხეში" შეკრებილან წითელი მოლაშქრენი, სადაც სწარმოებს ანტი-რელიგიური კამპანია.

პოლიტხელი ლაპარაკობს „ამვროსიადაზე" გულდასმით უსმენენ და როდესაც მათ სასჯელზე მივიდა:

— უნდა დაეხვრიტათ! ყველა დასახვრეტი იყო!—იძახის ხიჯაკაძე და მუშტებსა ჰკუმავს...

— ამხანაგებო!—განაგრძობს მიშა მაჩიტაძე—საბჭოთა ხელისუფლება შურს არა ძიობს არავიზე, მაგრამ თუ მშრომელთ მოელის ვისგანმე თავდასხმა და მის მშვიდობიან შრომას ელის საფრთხე—ძირფესვიანად ამოაგდებს მას და არ დაინდობს.

— ვაშა!—გაისმის მხიარულ წითელ არმიელთა გულის სიღრმიდან ამოძახილი.

— ამხანაგებო! სამღვდელოებას მიეზღა თავის სასჯელი; ის ისტორიამაც გასწირა. მშრომელი ხალხი განთავისუფლდა სარწმუნოების ბურუსიდან.

— ძირს მღვდლები, სარწმუნოება! გაუმარჯოს მეცნიერებას და ჩვენს ბელადებს!—ისმის აქეთ-იქიდან.

— მოიცა ერთი დავბრუნდე სოფელში, თუ ჩვენი ღვდელი კიდევ იქ დამიხვდა თუ წვერებიდან არ დავითრიე—მე ბიჭი არ ვყოფილვარ.—იმუქრება გ—შვილი და გაისმის სიცილი.

— გვეყო რაც გვატყუეს!—ამბობს მამფორია.

— ჩვენი სოფლის ტერტერას რაც შარშან ვერ დავაკელი, წელს შევუსრულებ!—თავმომწონედ იმუქრება მიკირტიჩევი.

კვლავ სიცილი. კიდევ კარგა ხანს გრძელდება ბაასი და შეკითხვებით არ ასვენებენ პოლიტხელს.

ასე გრძელდება ჩვენი პოლიტსაათები.

სიო.

მე-7-დე ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლა.

23 მარტს კვირას დილით შესდგა მე-7-დე სკოლის მესამე ასეულის მორიგი კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ჯანელიძე, მდივნობდა ამხ. გელოვანი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ლენინის კუთხის მმართველ კომისიის მდივნისა, და ახალი კომისიის არჩევა.
2. მოხსენება ასეულის კორესპონდენტისა და ახალი კორესპონდენტის არჩევა.

მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინის კუთხის მმართველ კომისიის მდივანმა ამხანაგ ლაითაძემ.

მომხსენებელმა დაიწყო ლენინის კუთხის პირველ დაარსების დღიდან. მან ვრცლად აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც მოუხდა კომისიას მუშაობა და რა დაბრკოლებები გადალახა კომისიამ.

ანგარიშებიდან მომხსენებელმა გააცნო კურსანტებს ყველა შემოწირულებები, როგორც მეთაურებიდან ისე კურსანტებიდან. ანგარიში დამაკმაყოფილებელი იყო.

მოხსენების შემდეგ გაიმართა შეკითხვები და კამათი, რამაც გამოირკვია კუთხის დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა ლენინის კუთხე შესაფერ დონეზედ ვერ დააყენა კომისიამ, მაგრამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ამხანაგ კურსანტებმა მიიღეს მხედველობაში კომისიის დაუღალავი და ენერგიული მუშაობა და როგორც ამხ. ლაითაძე ისე კომისიის დანარჩენი წევრები მადლობის სახით ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

კრებამ ახალ კომისიაში ამოირჩია შემდეგი ამხანაგები:

1. ასის თავის თანაშემწე ამხ. კიკნაძე.
2. კურსანტი შ. თელია.
3. მანაგაძე.
4. ავაქოვი.
5. გრიგ. ჩიტოშვილი.

მეორე საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ქარაზანაშვილმა. მომხსენებელმა თვითონ აღნიშნა მოკლე სიტყვაში, რომ მას ბევრი არაფერი გაუკეთებია სხვა და სხვა მიზეზების გამო და ამით ამხანაგების მიერ დავალებული ამოცანები ვერ შეასრულა.

მოხსენების შემდეგ ისევ გაიმართა კამათი და მომხსენებლის მიერ წამოყენებული მიზეზები საპატიოთ ჩაითვალა. ახალ კორესპონდენტებათ არჩეულ იქნა ამხანაგი ავაქოვი და კ. გაბელია.

მიმდინარე კითხვებში კურსანტები, ამხ. ასის თავის თანაშემწეს აძლევდენ სხვა და სხვა შეკითხვებს შინაურ ცხოვრების გარშემო. ამხ. კიკნაძე ყოველ შეკითხვას დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევდა.

კრების დასასრულს ასეულის პოლიტ-ხელმა ამხანაგ ახალაშვილმა მოკლე სიტყვით მადლობა გამოუცხადა ძველ კომისიის წევრებს და უსურვა ახალ კომისიას ის ნაკლი გამოესწორებიოთ, რომელიც დღემდის ქონდა ლენინის კუთხეს და დააყენოს ის იმ საფეხურზედ, როგორც ეს მის სახელწოდებას შეეფერება.

ამის შემდეგ კრება დაიხურა.

შ. თელია.

ამხ. ვლადიმერ ჯვარშეიშვილის ხსოვნას.

ა. წ. 25 მარტს მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ ბრმა-წელის ავათმყოფობისა გამო, უდროვოდ გარდაიცვალა ქ. დ. საავათმყოფოში ამავე დივიზიის მეშვიდე შეერთებულ სამხედრო მეთაურთა სკოლის კურსანტი, კომ-კავშირის წევრი, მუშა-გლეხის შვილი და მომავალი წითელი მეთაური ამხ. ვლადიმერი სამსონისძე ჯვარშეიშვილი, რომელიც ღირსეულათ და ენერგიულად სწავლობდა ხსენებულ სკოლაში. ამ ჟამად გარდაცვალებული ვლადიმერი იყო სოფ. თიანეთის მცხოვრები, რომლის მოღვაწეობა, როგორც ახალგაზრდის არის ღირსშესანიშნავი. ჯერ კიდევ მოწაფეთ ყოფნისას თიანეთის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში 1919-20 წლებში, ის აწყობს ახალგაზრდათა წრეებს და ყოველ გვარ დახმარებას უწევს უფროსს ამხანაგებს არა ლეგალურ მუშაობაში. ხსენებულ წლეებში მას ყავს წრეში 25 ახალგაზრდა წევრები. საქართველოს გასაბჭოებისას 1921 წ. თიანეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ორგანიზაცია იქმნა დამტკიცებული, სადაც პასუხის მგებელ მდივნად იქნა არჩეული ვლადიმერ ჯვარშეიშვილი. ხსენებულ ორგანიზაციაში ის მუშაობდა ენერგიულად და პირნათლად ასრულებდა ყოველ გვარ მასზე დაკისრებულ საქმეს, რაიც გამოიხატება ორგანიზაციის ირგვლივ 50 ახალგაზრდა მუშა-გლეხის შვილების თავის მოყრაში. 1921 წ. ამხ. ჯვარშეიშვილი საუკეთესო მოწაფეთ ათავებს ხსენებულ სასწავლებელს თიანეთისას. 1923 წ. სამტრედიის რაიკომკავშირის მიერ ის იქმნა გადმოგზავნილი ზემოხსენებულ სკოლაში, სადაც ა. წ. მარტის თვეში ხდება ავათ და უკანასკნელ წუთებს ლევს ქართულ დივიზიის საავათმყოფოში.

ამხ. კურსანტებო და წითელ არმიელებო, ჩვენ რიგებს მოსწყდა საბჭოთა ხელისუფლების დარაჯი, კურსანტი სამხედრო შეერთებულ სკოლის, მაგრამ მისი თავდადებულობა მაგალითი იქნება ჩვენთვის და ხსოვნა მისი საუკუნოთ დარჩება ჩვენში, საუკუნო ხსენება უდროვოდ გარდაცვალებულ მეშვიდე შეერთებულ სამხედრო მეთაურთა სკოლის კურსანტს—ამხ. ჯვარშეიშვილს.

ვ. ბ. მარტვილელი.

ობოლი.

სტირის ობოლი, ფეხ-შიშველი მშიერ-მწყურვალი
ცხოვრების რყევას გაუხდია ქუჩის ამარათ,
ხელ გამოწვდილი ის ქკითინებს თხოულობს პურს და
ცრემლთა ხაზები ეშვებიან მიმქრალ სახეზე.
„მომხედეთ ძმებო! ობოლი ვარ უსახლკარო.
არა მყავს დედა, მამაც მაშინ იმსხვერპლა ომმა,
მშია.. მწყურია, გევედრებით მომხედეთ ძმებო
ნუ დაიზარებთ მოწყალება გაიღოთ ჩემზე."
ყურს არვინ უგდებს, ობლის კვნესას, ობლის გოდებას
ზევით თუ ქვევით გამვლელები თითქოს არ გრძნობენ—
ადამიანის მწარე კივილს, და ცრემლთა ფრქვევას...
და გლარჯის მილის გაბოლებით იცვლიან ბიჯებს.
უსამართლობის ლანდები კვლავ მეფობს ქუჩაში
და მისი სიღრმე კვლავათ ირწყვის უმანკო ცრემლით,
ბრბო კი უგნური შეჩვეული წარსულში ამას—
თვალებს აცილებს რომ მათ გულმა არ იგრძნოს კვნესა.

— —

შევჩერდი. ობლის კვნესამ მომიკლა გული
როს მის თვალებში წავიკითხე ტანჯვის ლეგენდა,
გაუტანელი ქუჩის წყევლა, ქუჩის სიოხრე
და ობოლივით მეც ჩამომწყდა თვალებზე ცრემლი.
ოხ ქუჩავ! ქუჩავ! ბარიკადო ახალ ცხოვრების
შენ ხომ კერპები დაამსხვრიე, უარყავ ღმერთი,
და გაამეფე შრომის სიტყვა, შრომის სამეფო
და ბრძოლის ძლევათ დაადიქი ძველ სამყაროებს.
და დღეს შენს ქუჩებს კვლავად რისთვის აცივებს ცრემლი
მითხარ რათ ისმის შენს სიღრმეში სულის ტკივილი?,
მიყვარხარ მაგრამ ეს სურათი მაძულებს შენს თავს
როცა შენ ითმენ შრომის შვილთა ასეთ წამებას.
აღსდექი ქუჩავ! კიდევ ერთხელ შენი გრიგალით
ააშრე ცრემლი, და ქვითინი ობოლ თვალებზე,
რომ სპეტაკ ქუჩებს ჩემს ოცნებას, და ჩემს სამშობლოს
მხოლოდ სიცილი მხოლოდ ბრძოლა ამეტყველებდეს.

— —

ქუჩა უთქმია დინჯათ იტანს დროთა განაჩენს
მე კი გულ-მკვდარი მინდა რამე უშველო დობილს,
ამ დროს შეხედე საიდღანაც გამოჩნდა ეტლი
ქუჩის ქალწული გამალებით შორს გაიტაცა.
„თავშესაფარში." თითქოს ქუჩამ ყრუთ წამჩურჩულა
„იქ მოუვლიან მშიერ მოძმეს მისცემენ ბინას"
გული გამხნევდა გაკვირვებით გავავლე თვალი
ეტლი კი გაჩნდა ობლებისთვის თავ შესაფართან.
ბრბო კი უგნური ჩვეულებრივ განაგრძობს ხარხარს
თითქოს არც კი გრძნობს აუტანელ ქუჩების ტკივილს,
ყურს არვინ უგდებს ობლის ტკივილს ობლის გოდებას
და გლარჯის მილის გაბოლებით იცვლიან ბიჯებს.

გოგიტო ციმბირელი.

ახალი ამბები.

— **ელექტრონის სადგური ოზურგეთში.** ოზურგეთის აღმასკომმა დაადგინაააგოს ქალაქ ოზურგეთში 100 ძალიანი ელექტრ. სადგური, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს ქალაქის და მისი გარეუბნების მოთხოვნილებას.

— **საკონსერვო ქარხანა.** ოზურგეთის მაზრის აღმასკომის დადგენილებით ახლო მომავალში ქ. ოზურგეთში მოეწყობა საკონსერვო ქარხანა.

— **რადიო-სადგური სენაკში.** ა. კ. ფოსტა-ტელეგ. კომისარიატის და სენაკის მაზრის აღმასკომს შორის მოლაპარაკება სწარმოებს სენაკში რადიო სადგურის მოწყობის შესახებ.

— **ქალების ამნისტია.** ქალთა დღის აღსანიშნავათ გამოცემულ ამნისტიის განსახორციელებლათ საპატიმრო ადგილების მთავ. სამმართ. შეუდგა ცნობის შეკრებას პატიმარ ქალთა განსათავისუფლებლათ.

— **ინვალიდების დახმარება რაჭაში.** რაჭის მაზრის აღმასკომმა ომის და შრომის ინვალიდების სასარგებლოთ გადასდო 500 მან. ჩერვონეცით.

— **ეპიდემიასთან საბრძოლველათ.** გადამდებ ავადმყოფობებთან საბრძოლველათ შესდგა სანიტარული კომისია ამხ. გეგეჭკორის, მამულიას და ხმალაძის შემადგენლობით.

— **ლომბარდის გახსნა.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა გახსნას ქალაქის ლომბარდი, რომლის ძირითად თანხისათვის გადადებულია 60 ათასი მანეთი ჩერვ.

ეროვნული

სასოფლო მეურნეობა.

როგორ უნდა მოუაროთ ხეხილის კანს.

ხის კანი ითხოვს სიწმინდეს და მოვლას. მოუვლელ ხეს უჩნდება მავნე სოკოები, აზიანებს მავნე მწერები და ის ავათმყოფდება. ახალგაზრდა ხის კანი გლუვია ე. ი. არ არის დამსკდარი და კარგი შესახედავია. როცა ხე იზრდება კანი ხმება ზედ ჩნდება ღარები და ნაპრალები, სადაც იბუდებს სხვა და სხვა სოკო და მწერები,

თუ ამინდებმა ხელი შეუწყო ხე დაიფარება ხავსით, ფითრით, აბედით და სხვა მავნე მცენარეულობით. ყველაფერი ეს კი ძლიერ სწყენს ხეს და ხელს უშლის მის განვითარება—ნაალვიერებას. ამიტომ ხის კანი ყოველთვის სუფთათ უნდა იყოს. ამას გარდა კანის სისუფთავეს სხვა სარგებლობაც მოაქვს.

ხის კანში არის სასუნთქი მილები, რომელთა შემწეობითაც ხის შიგნითა ნაწილებში ჰაერი შედის ანუ როგორც იტყვიან ხე სუნთქავს.

როცა ხეს მავნებლები ასევია, მაშინ სასუნთქავები. რიგიანათ ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას.

ხის კანის გასუფთავება უმჯობესია წვიმის შემდეგ, რადგან სველ ხეს ადვილათ სცილდება ხავსი, მავნე მცენარეულობა, მწერების განავალი და კვერცხები.

კანის გასასუფთავებლათ კარგია ბლაგვი და ან კბილებიანი ჩოთქი.

ჩამონაფხეკი უნდა შევაგროვოთ და დავწვათ, თორემ კვერცხებიდან მავნებლები ისევ ხეს დაუბრუნდებიან. ხის კანს ხშირათ აფუჭებს ყინვა და სიცხეები, რის გამო ხეს ხშირათ კანის ფენი სცილდება და ფუღურო უჩნდება.

ასე დაზიანებულ ხეებს მკვდარი კანი უნდა შემოვაცალოთ, გაფუჭებული მერქანი ამოვჭრათ ცოცხალ ნაწილებამდის, გავასუფთაოთ და ამონაჭერ ფუღუროში თხელი ძროხის კელა (ფუნა) ან უმარილო ქონი უნდა წავუსვათ. გარედან ასე მოვლილ ფუღუროს უნდა შემოვახვიოთ სუფთა ჩვარი. ამრიგათ, როგორც ზემო ნათქვამიდან სჩანს, ხის კანის მოვლას დიდი ყურადღების მიქცევა უნდა. მაგრამ მარტო ერთხელ გასუფთავება ხის კანს არ ეყოფა. გაწმენდილ კანზე ისევ ჩნდებიან სხვა და სხვა მავნებლები. ამიტომ კანის წმენდა დრო გამოშვებით უნდა მეორდებოდეს. მით უმეტეს რომ ეს სამუშაო ცოტა დროს და მასალებს მოითხოვს, მოსავალს კი ძლიერ ადიდებს.

მეურნე.

მეცნიერება და ტექნიკა.

როგორ უნდა გამოვიცნოთ სხვა და სხვა ღირსების ფოლადი.

სოფლის მუშის ცხოვრებაში და საერთოდაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ ფოლადს. როდესაც იძენენ რამე იარაღს, პირველად ყოვლისა იმას აქცევენ ყურადღებას თუ როგორი ფოლადისაგან არის ის დამზადებული. სოფლის მუშისათვის კი კარგი ფოლად მოდებული იარაღი თავზე საყვარელია, და ისე უვლის მას, როგორც საკუთარ თვალის ჩინს. ხშირად გაიგონებთ სოფელში საშინელ გულის წყრომას და საყვედურს, როდესაც ცუდი გამოდგება იარაღი და ყველა ეს კი მიმართულია მისი გამყიდველისადმი. !კარგი ფოლადის გამოსაცნობათ აქამდე ბევრი სხვა და სხვა საშვალებები არსებობდა, მაგრამ ყველა ესენი ერთობ ძნელ ტეხნიკურ ამოცანებს წარმოადგენენ. ფოლადის ფიზიკურ თვისებებთან ერთად (სიმაგრე, გაზიდულობა) საჭირო არის აგრეთვე მისი ქიმიური შემადგენლობის (მასში ნახშირის და სხვა ნივთიერებათ) რაოდენობის გამორკვევა. რომ ცნობილი იქნეს ფოლადის ფიზიკურ თვისებებს და ქიმიურ შემადგენლობის შორის დამოკიდებულება. ამავე მიზანს ემსახურება ფოლადის ანდამატური თვისებების გამორკვევაც, რადგან ამ უკანასკნელების და ფოლადის ფიზიკურ თვისებებს შორის არსებობს ერთგვარი დამოკიდებულება.საფრანგეთის მეტალურგებმა ამ უკანასკნელ ხანში წამოაყენეს ერთგვარი საშვალება, რომელიც ძალიან ადვილად არკვევს ფოლადის სხვა და სხა სახეს და რომელსაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს ხერხი ერთობ ადვილი და ყველასათვის ხელმისაწვდომია, მხოლოდ საჭიროა იცოდე, თუ როგორი შემადგენლობის ფოლადია საუკეთესო ამა თუ იმ საქმისათვის. საფრანგეთის მეტალურგებმა გამოარკვიეს, რომ ფოლადის ქიმიური შემადგენლობა და ფიზიკური თვისებები თავის გავლენას ახდენს და სულ სხვა და სხვა დამახასიათებელ ფერს აძლევს ფოლადისაგან გამოშვებულ ნაპერწკლებს, თუ მას მივიტანთ სწრაფად მბრუნავ ქვის სალესზე. თუ მბრუნავი სალესის სიჩქარე განსაზღვრულია, მაშინ ფოლადისაგან ნაპერწკლების ცვენა და მისი ტემპერატურა დამოკიდებულია მის სიმაგრეზე, გაზიდულობაზე და ქიმიურ შემადგენლობაზე. ამიტომ ფოლადის ნაპერწკლებზე ყურადღებიანი დაკვირვებით შეიძლება ფოლადის ხასიათი გამოვარკვიოთ. მაგალითად ანდამატიან ფოლადს აქვს ლალის ფერი ნაპერწკლები, მაგარი ანუ ნახშირის ბევრი შემადგენლობის ხასიათდება მოთეთრო ნაპერწკლებით. მაგარი, ნახევრად მაგარი და რბილი ფოლადი კი თეთრი ანუ მკრთალი ყვითელი ფერის ნაპერწკლებით განირჩევა. ცოტა ოდენი გამოცდილებით ჩვეულებრივ მუშას ყოველთვის შეუძლია ამ საშვალებით გამოიცნოს მისთვის გამოსადეგი ფოლადის სახე.

შეიხ.

ცირკულიარი № 63.

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა.

27მარტი 1924 წ. ქ. თბილისი.

ყველა ნაწილების სამხედრო კომისრებს.

აპრილის პირველ რიცხვებიდან დაიწყება წითელ არმიელების უვადო შვებულებაში გაშვება. იმათმა თავისი მოვალეობა მშრომელი ხალხის წინაშე პირნათლად შეასრულეს, და ეხლა უბრუნდებიან თავიანთ სოფლებს, რომ იქ, საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელ ხალხთან ერთად, გუთნით და თოხით ხელში განამტკიცონ ჩვენი ხელისუფლების ეკონომიური სიძლიერე.

მიმავალ წითელ არმიელებმა ერთი წლის განმავლობაში ჯარში ყოფნის დროს ბევრი რამ შეისწავლეს და დიდი გამოცდილება მიიღეს: ისინი სოფლად მოწინავე ელემენტები უნდა გახდნენ, სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშრომელ ხალხს და ჯარის რიგებში შეძენილი ცოდნა უნდა მოახმარონ ჩვენი ხელისუფლების განმტკიცებას და მის კეთილდღეობას. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა, რათა მათთვის ყოველგვარი დახმარება გაეწია, მათი პოლიტიკურად და გონებრივად ამაღლებისათვის და მან ამ მიზანს მიაღწია: არა ერთმა და ორმა წითელ არმიელმა შეისწავლა წერა-კითხვა წითელ ჯარის რიგებში და თვალებ ახილული უბრუნდება ეხლა თავის სოფელს, არა ერთმა და ორმა წითელ არმიელმა შეიგნო და შეითვისა თავისი მოვალეობა დაჩაგრულ მშრომელ ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, და რევოლიუციონურ სულით გაღენთილი ის უბრუნდება თავის კარ-მიდამოს. აი, ამიტომ ჩვენ ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მათი ცოდნა გამოვიყენოთ სოფლად და თუ კი რაიმე, ჯერ კიდევ გაუგებარი დარჩენიათ წითელ არმიელებს, ის ჩვენ ეხლავე აქვე უნდა განუმარტოთ და შევასწავლოთ. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მათ კავშირს წითელ არმიასთან. ჩვენ უნდა ჩავაგონოთ, რომ შინ დაბრუნების შემდეგ მათ არ გასწყვიტონ კავშირი წითელ არმიასთან და წერილების სახით დაუკავშირდნენ მათ. „გაზეთ „კომუნისტი“-ს № 69/924 -27 მარტ-დან მოთავსებულია ს. ა. კ. პ. ც. კ. ცირკულიარი ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებისა და ყველა ნაწილების სამხედრო კომისრების მიმართ სადაც აღნიშნულია, თუ რა დახმარება უნდა გაუწიონ საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა სახლში მიმავალ წითელ არმიელებს, უნდა გამოიყენონ ისინი სოფლად სხვა და სხვა მუშაობის დარგში. ამიტომ პოლიტ-განყოფილება აძლევს რა ასეთ დიდ მნიშვნელობას წითელ არმიელების უვადო შვებულებაში გაშვებას, მათ მომავალ მუშაობას სოფლად, მათ კავშირს წითელ ჯართან, წინადადებას გაძლევთ, დაუყონებლივ გაატაროთ ცხოვრებაში შემდეგი:

პოლიტ საათის სფეროში.

1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საჭირ-ბოროტო კითხვებს, რომლებიც წითელ არმიელებს აინტერესებთ.
2. სამხედრო კომისარმა უნდა გააშუქოს პოლიტ-საათზე წითელი ჯარისა და სოფელს შორის კავშირის მნიშვნელობა.
3. „მაკრატელი“ და მის წინაამდეგ მიღებული ზომები.
4. მიაქციეთ სათანადო ყურადღება ანტი-რელიგიურ კამპანიის ჩატარებას.

საერთო განვითარების დარგში.

1. დაუთმეთ ყოველ დღე ორი საათი კოოპერაციისა და აგრონომიული საკითხების განხილვას. გამოიყენეთ ადგილებზე პოლიტ-განყოფილების მიერ გამოგზავნილი მომხსენებლები, ამ საკითხის გასაშუქებლად.

გაზეთებისთვის მზადება.

1. თანახმად ს. კ. პ. ც. კ. ზემო აღნიშნულ ცირკულიარისა დაიკავეთ მჭიდრო კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან.
2. მიმართეთ შეფებს, რათა გაგიწიონ მატერიალური დახმარება.
3. მოაწყვეთ საღამოები, კონცერტები და წარმოდგენები.
4. მოიწვიეთ ზეიმზე სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მუშები და მოსამსახურეები.
5. მოიწვიეთ ის ნაწილები, რომლებსაც უვადო შვებულებაში წასვლა არ ეხებათ.
6. მიმართეთ მათ სიტყვებით (წითელ არმიელების სახით), რომ ისინი ყოველ გვარ დახმარებას გაუწევენ მათ ოჯახებს სოფლად.
7. მიმართეთ მიწათ—მოქმედების კომისარიატს, რათა მან გასცეს განკარგულება, თანახმად ცეკას ცირკულიარისა, რომ დაეხმაროს ღარიბ წითელ-არმიელებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით.
8. მოახდინეთ იმ წითელ არმიელების აღრიცხვა, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან სოფლათ ამა თუ იმ სამუშაოზე.
9. მათი ყაზარმიდან სადგურზე წასვლისას გააცილეთ ისინი და გამოსამშვიდობებლად თქმულ სიტყვებში უსურვეთ მათ, რომ მტკიცეთ განეგრძოთ ის გზა, რომელზედაც დააყენა ისინი საბჭოთა ხელისუფლებამ და არ გაეწყვიტოთ კავშირი მათ აღმზრდელ წითელ არმიასთან.
10. პოლიტ-განყოფილებიდან მიღებული წიგნები (პამიატკები) ნაკაზები დელეგატებს, დაურიგეთ ყველა წითელ-არმიელებს და მასთანვე მიეცით საჭირო ახსნა-განმარტება.
11. გახსოვდეთ, რომ მათი გაცილება უნდა მოხდეს ზეიმით.
12. გამოიყენეთ ყველა პოლიტ-განმანათლებელი დარგები თქვენი ნაწილისა, ამ საქმისათვის.
13. ჩააბით სკოლის მუშაკები კლუბის საქმეებში, რომ მათმა წრეების ხელმძღვანელების სახით, განუმარტონ ესა თუ ის საკითხები.
14. სამკითხველომ აწარმოოს ყოველ დღიურათ ხმა-მაღალი კითხვა იმ საკითხებზე, რომლებიც გავლილი იქნება პოლიტ-საათებზე.
15. რაც შეიძლება ადვილი მისაწდომი გახადეთ წიგნები წითელ არმიელებისათვის, რომ მათმა უშუალოთ და სხვების დაუკითხავათ შესძლონ წიგნის აღება და გადათვალიერება.
16. წითელ კუთხეებში მოახდინეთ წიგნების გამოფენა და გამოაკარით ისეთი ლოზუნგები, რომ წითელ-არმიელები დაინტერესდნენ წიგნებით და გაზეთებით.
17. ერთი სიტყვით, არც ერთი წითელ არმიელი არ დარჩეს, რომელსაც არ ქონდეს ნათელი წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლებაზე, კომუნისტური პარტიის მნიშვნელობაზე, მშრომელთა ხალხის განთავისუფლების ბრძოლაში და იმ მომავალ მუშაობაზე, რომელიც მათ მოელის სოფლად.
18. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მუხლები, უკლებლივ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.
19. დაწვრილებითი ცნობები გვაცნობეთ დემობილიზაციის დამთავრების შემდეგ.

პოლიტ-განყოფილების უფროსი: **ა. კვირიკაძე.**

საგიტპროპო ნაწ. უფროსი: **ნადირაძე.**

ჩერვონეცის კურსი 29 მარტს

1 ჩერვონეცი 25,000,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.= 25,000,000
2 კ.= 50,000,000
3 კ.= 75,000,000
4 კ.=100,000,000
5 კ.=125,000,000
6 კ.=150,000,000
7 კ.=175,000,000
8 კ.=200,000,000
9 კ.=225,000,000
10 კ.=250,000,000
11 კ.=275,000,000
12 კ.=300,000,000
13 კ.=325,000,000
14 კ.—350,000,000
15 კ.=375,000,000
16 კ.=400,000,000
17 კ.=425,000,000
18 კ.=450.000.000
19 კ.=475,000,000
20 კ.=500,000,000
21 კ.=525,000,000
22 კ.=550,000,000
23 კ.=575,000,000
24 კ.=600,000,000
25 კ.=625,000,000
26 კ.=650,000,000
27 კ.=675,000,000
28 კ.=700,000,000
29 კ.=725,000.000
30 კ.=750,000,000
31 კ.=775,000,000
32 კ.=800,000,000
33 კ.=825,000,000
34 კ.=850,000,000
35 კ.=875,000,000
36 კ.=900,000,000
37 კ.= 925,000,000
38 კ.= 950,000,000
39 კ.= 975,000,000
40 კ.=1,000,000.000
41 კ.=1,025,000,000
42 კ.=1,050,000,000
43 კ.=1,075,000,000
44 კ.=1,100,000,000
45 კ.=1,125,000,000
46 კ.=1,150,000,006
47 კ.=1,175,000,000
48 კ.=1,200,000,000
49 კ.=1.225,000,000
50 კ.=1,250,000,000
51 კ.=1,275,000,000
52 კ.=1,300,000,000
53 კ.=1,325.000,000
54 კ.=1,350,000,000
55 კ.=1,375.000,000
56 კ.=1,400,000,000
57 კ.=1,425,000,000
58 კ.=1,450,000,000
59 კ.=1,475,000,000
60 კ.=1,500,000,000
61 კ.=1,525,000,000
62 კ.=1,550,000,000
63 კ.=1,575,000,000
64 კ.=1,600,000,000
65 კ.=1,625,000,000
66 კ.=1,650,000,000
67 კ.=1,675,000,000
68 კ.=1,700,000,000
69 კ.=1,725,000,000
70 კ.=1,750,000,000
71 კ.=1,775,000,000
72 კ.=1,800,000,000
73 კ.=1,825,000,000
74 კ.=1,850,000,000
75 კ =1,875,000,000
76 კ.=1,900,000,000
77 კ.=1,925,000.000
78 კ.=1,950,000,000
79 კ.=1,975,000,000
80 კ.=2,000,000,000
81 კ.=2,025,000,000
82 კ.=2,050,000,000
83 კ.=2,075,000,000
84 კ.=2,100,000,000
85 კ.=2.125,000,000
86 კ.=2,150,000,000
87 კ.=2,175,000,000
88 კ.=2,200,000,000
89 კ.=2,225,000,000
90 კ.=2,250,000,000
91 კ.=2,275,000,000
92 კ.=2,300,000,000
93 კ.=2,325,000,000
94 კ.=2,350,000,000
95 კ.=2,375,000,000
96 კ.=2,400,000,000
97 კ.=2,425,000,000
98 კ.=2,450,000,000
99 კ.=2,475,000.000
1მ.=2,500,000,000
2მ.=5,000,000,000
3მ.=7,500,000,000
4მ.=10,000,000,000
5მ.=12,500,000,000
6მ.=15,000,000,000
7მ.=17,500,000,000
8მ.=20,000,000,000
9მ.=22,500,000,000
10მ.=25.000.000.000

დაკარგე დროებითი პარტიული მოწმობა № 5697 მიცემული საქ. კომ. პ. ცენტ. კომ. ტიტიკო ჩახუნაშვილის სახელზე—ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 8. პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჩანტლაძე.